



ეგზ. N 1

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი  
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„-12-----“---07-- 2016 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (კოდი 30 01 01 01)

ფინანსური აუდიტის ანგარიში 42/36

01.01.2015წ. - 01.01.2016წ.

## სარჩევი

|                                                                               |    |
|-------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და ასიგნებათა გადანაწილება .....                         | 4  |
| 2. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურების შესყიდვა .....             | 7  |
| 3. ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები.....                       | 8  |
| 4. შპს „ჯეო ქარტასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.....                          | 11 |
| 5. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებ განსაზღვრასთან დაკავშირებ შენიშვნები .....   | 12 |
| 6. შპს „ნოვი სტილი ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება .....                 | 18 |
| 7. საქართველოს მთავრ 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულ შესრულ მდგომარ .....   | 19 |
| 8. ქ. ქუთაისში პოლიციელის დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიება .....     | 20 |
| 9. შპს „გმ აუტოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება .....                           | 22 |
| 10. მივლინებები ქვეყნის გარეთ .....                                           | 23 |
| 11. მოსამსახურ ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება და საცხოვრებ ბინების დაქირავ ... | 25 |
| 12. წარმომადგენლობითი ხარჯები .....                                           | 26 |
| 13. ხელშეკრულებებში განხორციელებული არსებითი ცვლილებები .....                 | 28 |
| 14. შპს „ფლაგ არტთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები.....                         | 30 |
| 15. გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები.....                                   | 32 |
| 16. ავტომანქანების დაზღვევა.....                                              | 32 |
| 17. პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ .....                   | 35 |

## **დასკვნა სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაზე და საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე**

### **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (კოდი 30 01 01 01) ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2015 წელი. შემოწმდა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება (წლიური ბალანსი და მასთან დაკავშირებულ ანგარიშები) და აღნიშნულ პერიოდში გაწეული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, ასევე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ასევე შეცდომით ან განზრახ, არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული დარღვევების პრევენციისთვის.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება ობიექტის ფინანსურ ანგარიშგებაზე და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით აუდიტორების მიერ მოითხოვება ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა განხორციელებული ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. აუდიტორები აუდიტის საფუძველზე გამოთქვამენ მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაზე და განხორციელებული ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს რისკების შეფასებას. რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და სწორი ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად. შიდა კონტროლის

შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## **აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები**

### **ბიუჯეტის დაგეგმვა და ასიგნებათა გადანაწილება**

2015 წლის პირველად წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადით სამინისტრომ ზღვრული მოცულობის ფარგლებში მოითხოვა წლიური ჯამური (ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის ჩათვლით) ასიგნება 600,000.0 ათასი ლარის ოდენობით (კოდით 30 00). ზღვრული მოცულობის ზემოთ მოთხოვნილმა ჯამურმა ასიგნებამ შეადგინა სულ 664,500.0 ათასი ლარი. მეორე წარდგენით სამინისტრომ ზღვრული მოცულობის ფარგლებში მოითხოვა წლიური ჯამური ასიგნება 615,000.0 ათასი ლარის ოდენობით (ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნება არ მოუთხოვია<sup>1</sup>). მესამედ წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადით სამინისტრომ ზღვრული მოცულობის ფარგლებში მოითხოვა წლიური ჯამური ასიგნება 638,700.0 ათასი ლარის ოდენობით (ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნება არ მოუთხოვია).

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროს დაუმტკიცდა წლიური ჯამური ასიგნება 638,700.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის პროგრამული კოდით 30 01 (საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება) სამინისტროს დაუმტკიცდა წლიური ასიგნება 597,960.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტის განწერის შედეგად სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს (კოდით 30 01 01 01) დაუმტკიცდა წლიური ასიგნება 178,738.4 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 80,322.6 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება - 75,624.4 ათასი ლარი, გრანტები - 100.0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 1,992.0 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 12,766.0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 7,933.4 ათასი ლარი.

სამინისტროსგან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფის გამო „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით სამინისტროს (30 00) წლიური დამტკიცებული ასიგნება შეიცვალა და განისაზღვრა 591,650.0 ათასი ლარით. მათ შორის პროგრამული კოდით 30 01 (საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება) წლიური დამტკიცებული ასიგნება განისაზღვრა 550,910.0 ათასი ლარის ოდენობით, რის საფუძველზეც ბიუჯეტის ხელახალი განწერით ცვლილება

<sup>1</sup> 2015-2018 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში შეტანილი ცვლილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის ასიგნებების ზღვრული მოცულობა 600,000.0 ათასი ლარიდან გაიზარდა 638,700.0 ათას ლარამდე.

განხორციელდა ასევე სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის (კოდი 30 01 01 01) ბიუჯეტში და წლიური დამტკიცებული ასიგნება განისაზღვრა 151,662.4 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 57,914.9 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება - 71,811.6 ათასი ლარი, გრანტები - 100.0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 1,936.0 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 11,966.5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 7,933.4 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში ასიგნებათა გადანაწილების შედეგად სამინისტროს (30 01 01 01) წლიურმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 139,128.5 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 44,868.7 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება - 56,055.8 ათასი ლარი, გრანტები - 38.3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 1,177.0 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 19,267.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 17,720.3 ათასი ლარი, ვალდებულებების კლება 1.0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის დაგეგმვასა და ასიგნებათა გადანაწილების განხორციელებაში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები. კერძოდ:

შრომის ანაზღაურების მუხლით სამინისტროს (30 01 01 01) 2015 წლის 12 თვის საწყისმა გეგმამ შეადგინა 80,322.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის განმავლობაში სამინისტროს (30 01 01 01) მიერ აღნიშნული მუხლით გაწეულია 50,860.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი. ვერ იქნა დასაბუთებული თუ რატომ დაიგეგმა 2015 წლისთვის შრომის ანაზღაურების მუხლი მნიშვნელოვნად გაზრდილი ოდენობით (58%-ით მეტი გასულ წელთან შედარებით). შედეგად წლის განმავლობაში ასიგნებათა გადანაწილებით გეგმა დაზუსტდა 44,868.7 ათას ლარამდე (შემცირდა საწყისი გეგმის 44%-ით). საწყისი გეგმის მნიშვნელოვანი შემცირება ნაწილობრივ განაპირობა სამინისტროს შემადგენლობიდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფამ (ბიუჯეტის კანონში შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილება), რის შედეგადაც ცალკეული სტრუქტურები სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის ფინანსური დაქვემდებარებიდან გადაეცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. ხოლო ნაწილობრივ გეგმის შემცირება გამოიწვია არასწორმა დაგეგმვამ, რის გამოც საჭირო გახდა წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ოდენობის ასიგნებები გადანაწილებულიყო სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებზე. მაგალითად:

2015 წლის 17 სექტემბრის N1308 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით სამინისტროს (30 01 01 01) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდა 3,207.0 ათასი ლარით და გადანაწილდა სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის (1,741.0 ათასი ლარი), საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის (800.0 ათასი ლარი), კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის (450.0 ათასი ლარი) და სხვა ქვედანაყოფების შრომის ანაზღაურების მუხლებში. 2015 წლის 16 დეკემბრის N1769 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით სამინისტროს (30 01 01 01) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდა 3,322.0 ათასი ლარით და გადანაწილდა ისევ სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის (525.0 ათასი ლარი), საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის (870.0 ათასი ლარი), კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის (1,100.0 ათასი ლარი) და სხვა ქვედანაყოფების შრომის ანაზღაურების მუხლებში. 2015 წლის 23 დეკემბრის N1831 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით სამინისტროს (30 01 01 01) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდა 4,601.1 ათასი ლარით და გადანაწილდა სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის (850.0 ათასი ლარი), საპატრულო პოლიციის

დეპარტამენტის (909.5 ათასი ლარი), სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის (1,300.0 ათასი ლარი) და სხვა ქვედანაყოფების შრომის ანაზღაურების მუხლებში.

აღნიშნული ფაქტები მიუთითებს, რომ სამინისტროს (30 01 01 01) შრომის ანაზღაურების მუხლი გაზრდილი ოდენობით იყო დაგეგმილი.

საქონელი და მომსახურების მუხლით სამინისტროს (30 01 01 01) 2015 წლის 12 თვის საწყისმა დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 75,624.4 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ასიგნებათა გადანაწილებით გეგმა დაზუსტდა 56,055.8 ათას ლარამდე (შემცირდა საწყისი გეგმის 25%-ით), რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ მუხლი გაზრდილად იყო დაგეგმილი. განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი გადანაწილებები:

2015 წლის 20 მაისის N676 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით საქონელი და მომსახურების მუხლიდან 1,200.0 ათასი ლარი გადანაწილდა სხვა ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებში (თითოეულზე 600.0 ათასი ლარი). 2015 წლის 7 ივლისის N945 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით საქონელი და მომსახურების მუხლიდან 1,500.0 ათასი ლარი გადანაწილდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში. 2015 წლის 21 ოქტომბრის N1463 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით საქონელი და მომსახურების მუხლიდან 3,000.0 ათასი ლარი გადანაწილდა სხვა ხარჯების (2,000.0 ათასი ლარი) და არაფინანსური აქტივების ზრდის (1,000.0 ათასი ლარი) მუხლებში და ა.შ.

სხვა ხარჯების მუხლით სამინისტროს (30 01 01 01) 2015 წლის 12 თვის საწყისმა დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 12,766.0 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ასიგნებათა გადანაწილებით გეგმა დაზუსტდა 19,267.4 ათას ლარამდე (გაიზარდა 51%-ით). ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 2015 წლის 12 თვის საწყისმა დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 7,933.4 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ასიგნებათა გადანაწილებით გეგმა დაზუსტდა 17,720.3 ათას ლარამდე (გაიზარდა 123%-ით). აღნიშნული გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული მუხლები შემცირებულად იყო დაგეგმილი (სრულყოფილად არ იყო გათვალისწინებული პერსონალის დაზღვევის და სპეცტექნიკის შეძენის ხარჯები). განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი გადანაწილება: 2015 წლის 26 ნოემბრის N1642 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით პროგრამიდან „სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება“ (30 06) 3,826.8 ათასი ლარი გადანაწილდა სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე (30 01 01 01). მათ შორის სხვა ხარჯების მუხლი გაიზარდა 1,247.0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი გაიზარდა 1,200.0 ათასი ლარით.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ასევე ასიგნებების კვარტალურ განწერებში, რაც ასევე კვარტალური დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს. კერძოდ:

2015 წლის 9 მარტის N260 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით სამინისტროს (30 01 01 01) შრომის ანაზღაურების მუხლით პირველ კვარტალში დაგეგმილი ასიგნება 1,450.0 ათასი ლარი გადატანილი იქნა მეოთხე კვარტალში, ხოლო სხვა ხარჯების მუხლით დაგეგმილი ასიგნება 1,150.0 ათასი ლარი მეოთხე კვარტალიდან გადმოტანილი იქნა პირველ კვარტალში. 2015 წლის 20 ივლისის N996 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით შრომის ანაზღაურების მუხლით მესამე კვარტალში დაგეგმილი ასიგნება 1,700.0 ათასი ლარი გადატანილი იქნა მეოთხე კვარტალში, ხოლო სხვა ხარჯების მუხლით დაგეგმილი ასიგნება 1,700.0 ათასი ლარი მეოთხე კვარტალიდან გადმოტანილი იქნა მესამე კვარტალში და სხვა.

## სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურების შესყიდვა

1. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 21 ნოემბერს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140026999) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1,988.4 ათასი ლარი (პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება). სატენდერო დოკუმენტაციით სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 450.0 ათასი ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: შპს „ავტოსერვისცენტრი“-მა, რომელმაც წარმოადგინა სატენდერო წინადადების (პრეისკურანტის) ღირებულება 990.4 ათასი ლარის ოდენობით და შპს „Your Center“-მა, რომლის სატენდერო წინადადების (პრეისკურანტის) ღირებულებამ შეადგინა 999.4 ათასი ლარი.

2014 წლის 19 დეკემბრის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის (N2) მიხედვით დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „ავტოსერვისცენტრი“-ს დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მას არ გააჩნდა სათანადო სათანადო ნაწილების მინიმალური მარაგი, აგრეთვე არ გააჩნდა პრეისკურანტით გათვალისწინებული 53 სხვადასხვა მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალების და მათთვის საჭირო სათანადო ნაწილების დასასაწყობებლად საჭირო გამართული სასაწყობო მეურნეობა, სერვის ცენტრებში არსებული დანადგარები და აპარატურა არ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს. აღნიშნული დასკვნები გაკეთდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსის პატაკის და თანდართული ფოტოსურათების საფუძველზე.

შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „Your Center“, რომელთანაც 2015 წლის 16 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება N38 ღირებულებით 450.0 ათასი ლარი თანდართული პრეისკურანტის ღირებულების შესაბამისად. წლის განმავლობაში ხელშეკრულებაში განხორციელდა 41 ცვლილება, რომელთაგან 39 შემთხვევაში პრეისკურანტში მომსახურების დამატებითი ერთეულების შეტანის შედეგად პრეისკურანტის ჯამური ღირებულება გაიზარდა 157.6 ათასი ლარით. მიუხედავად იმისა, რომ ერთ შემთხვევაში (2015 წლის 29 ივლისის N17 შეთანხმება) პრეისკურანტიდან გარკვეული ავტომატური მომსახურების ამოღებით პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შემცირდა 80.1 ათასი ლარით, ზემოაღნიშნული ზრდა ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნას, რადგან ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს<sup>2</sup> (ამ შემთხვევაში შეადგენს 15.7%-ს).

<sup>2</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა.

2. ასევე სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 20 ნოემბერს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140026943) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1,464.4 ათასი ლარი (პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება). სატენდერო დოკუმენტაციით სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 250.0 ათასი ლარით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: შპს „ავტოსერვისცენტრი“-მა, რომელმაც წარმოადგინა სატენდერო წინადადების (პრეისკურანტის) ღირებულება 685.2 ათასი ლარის ოდენობით და შპს „მათე მოტორსმა“, რომლის სატენდერო წინადადების (პრეისკურანტის) ღირებულებამ შეადგინა 890.0 ათასი ლარი. დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „ავტოსერვისცენტრი“-მ დისკვალიფიცირებული იქნა იმავე (ზემოაღნიშნული) მოტივით, რის შედეგადაც გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მათე მოტორსი“, რომელთანაც 2015 წლის 16 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება N39 ღირებულებით 250.0 ათასი ლარი.

ორივე პრეტენდენტმა ტენდერის დროს პირველივე შეთავაზებაზე დააფიქსირა პრეისკურანტის ფასი, რომელიც მნიშვნელოვანი ოდენობით ნაკლები იყო შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე (შპს „ავტოსერვისცენტრი“-მა 53%-ით ნაკლები, ხოლო შპს „მათე მოტორსმა“ 39%-ით ნაკლები), რაც მიუთითებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებულ ხარვეზზე.

### **ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები**

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ანგარიშზე N1110 (ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში) ერიცხებოდა ნაშთი 51.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა ნაშთი 22.2 ათასი ლარის ოდენობით. წლის ბოლოს სალაროში არსებული აუთვისებელი ნაშთი წარმოადგენდა მორიგე სალაროში არსებულ თანხას, რომელიც განკუთვნილია ოპერატიული საქმიანობისთვის.

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ანგარიშზე N1260 (დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში) ირიცხებოდა ნაშთი 51.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 161.4 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხები წარმოადგენს სამინისტროს მიერ არასაცხოვრებელი ფართების იჯარებიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლებიც აკუმულირდება სადეპოზიტო ანგარიშზე და ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვას. 2015 წლის განმავლობაში აღნიშნული სახის შემოსავლებმა შეადგინა 242.1 ათასი ლარი, წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულია მხოლოდ 132.3 ათასი ლარი (ნაცვლად 293.7 ათასი ლარისა საწყისი ნაშთის გათვალისწინებით). აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე. აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით აღნიშნული იყო სამინისტროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში, მაგრამ შენიშვნა გათვალისწინებული არ არის. მიზანშეწონილი იქნება სამინისტრომ წლის განმავლობაში მიღებული საიჯარო შემოსავლები მთლიანად მიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტში იმავე წლის დამთავრებამდე.



ანგარიშზე N1290 (სხვა ანგარიშები ხაზინაში) 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 130.8 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენდა 2013 წლის საგრანტო დაფინანსებიდან დარჩენილ აუთვისებელ ნაშთს. ნაშთის ათვისება არ მომხდარა არც 2015 წლის განმავლობაში და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობითაც ირიცხებოდა იგივე ნაშთი (ანგარიშთა გეგმაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად ანგარიშზე N1240).

ანგარიშზე N1359 (მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით) აუდიტის პერიოდში კვლავ ირიცხებოდა მუდმივი ნაშთი 182.4 ათასი ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენდა გასულ წლებში სამინისტროს საწყობის დანაკლისის საწვავის ტალონებთან დაკავშირებით (42.0 ათასი ლარი) და ბალანსზე გადმოცემულ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დანაკლისებს (131.5 ათასი ლარი და 8.9 ათასი ლარი).

ანგარიშებზე N1431 (მოთხოვნები მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით) და N1432 (მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით) 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯამურად ირიცხებოდა ნაშთი 5,949.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 7,195.0 ათასი ლარის ოდენობით. წლის ბოლოს რიცხული ნაშთიდან ნაწილი წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებებს, ხოლო უდიდესი ნაწილი წარმოადგენს გასული წლების დავალიანებებს. გასული წლების დავალიანებების არსებობის ძირითადი მიზეზები განხილულია სამინისტროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. რიგ შემთხვევებში სამინისტროს მიერ არ არის განხორციელებული ქმედითი ღონისძიებები თანხების ამოსაღებად.

სამინისტროს მიერ გათვალისწინებული იქნა წინა აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებული შენიშვნა და 2015 წლიდან აწარმოებს მიმწოდებლების მიერ გადასახდელი საურავების აღრიცხვას (ანგარიშზე N1354 - მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით). მაგრამ აღრიცხვა წარმოებს გარკვეული ხარვეზით, რაც იმაში გამოიხატება, რომ აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს მიერ საურავის დარიცხვასთან დაკავშირებული ბუღალტრული გატარება წარმოებს მიმწოდებლის მიერ საურავის გადახდის შემდგომ (დარიცხვაც და გადახდაც ტარდება ერთი თარიღით). აღნიშნული პრინციპით აღრიცხვის წარმოება (გარდა იმისა რომ ირღვევა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნა<sup>3</sup>) წარმოშობს რისკს, რომ აღურიცხავი დარჩეს დასარიცხი, მაგრამ გადაუხდელი საურავები. მიზანშეწონილი იქნება შესყიდვების სამმართველომ მიმწოდებლების დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აცნობოს აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს და შესაბამისად განხორციელდეს მოთხოვნების დაუყოვნებელი დარიცხვა. ანალოგიურად, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ბუღალტრული გატარება მიმწოდებლის მიერ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ. აღნიშნულ ანგარიშზე (N1354) 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი არ ირიცხებოდა (რადგან როგორც ზემოთ იყო აღნიშნული აღრიცხვა არ წარმოებდა), ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 66.8 ათასი ლარი, რაც ზემოაღნიშნული გარემოებების შედეგად არასწორია. კერძოდ, აღრიცხული არ არის შპს „ნიუ კონსტრაქშენის“ მიმართ არსებული დავალიანება 135.9 ათასი ლარის ოდენობით, ასევე აღრიცხული არ არის შპს „ვანშენის“ (15.0 ათასი ლარი), შპს „გეოტექის“ (3.5 ათასი ლარი), შპს „გეოსტონის“ (1.2 ათასი ლარი), ი/მ

<sup>3</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნა.

„ვლადისლავ ბულიგინის“ (0.9 ათასი ლარი), შპს „ბაო 2007-ის“ (0.7 ათასი ლარი), შპს „ფრატელის“ (0.6 ათასი ლარი), შპს „მშვილდოსანი-2-ის“ (0.3 ათასი ლარი) მიმართ არსებული დავალიანებები.

ანგარიშზე N1355 (მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით) 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 168.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 150.7 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის აღსანიშნავია შპს „ნიგი 2009“-ის მიმართ რიცხული დავალიანება 93.9 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს 2014 წლის განმავლობაში ფართის იჯარებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების საფუძველზე ბიუჯეტში გადაუხდელობას (დეტალურად განხილულია სამინისტროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში). ამასთან აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ოდენობა (93.9 ათასი ლარი) წარმოადგენდა საურავის ჩათვლით დავალიანებას 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. 2015 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით საურავის გათვალისწინებით დავალიანება შეადგენდა 115.4 ათას ლარს. მიუხედავად ამისა, 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ სამინისტროს მიერ საურავის დარიცხვა არ განხორციელებულა (რასაც ითვალისწინებდა ხელშეკრულებები) და დავალიანების სახით აღრიცხული არ არის.

ანგარიშზე N1440 (მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით) 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 3,900.7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 3,897.2 ათასი ლარის ოდენობით. დავალიანების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაკარგულ აქტივებს.

ანგარიშზე N1450 (მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ) 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 4,869.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 4,314.8 ათასი ლარის ოდენობით.

ანგარიშებზე N3100 – N3280 (ვალდებულებები) 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯამურად ირიცხებოდა ნაშთი 11,408.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 11,458.4 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს შრომის ანაზღაურების მუხლით 2005 წლამდე წარმოშობილ დავალიანებებს, ასევე „საქონელი და მომსახურების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით გასულ წლებში წარმოშობილ დავალიანებებს (მათ შორის 1996-2001 წლებში წარმოშობილს)<sup>4</sup>, რომელთა რეალობა დოკუმენტურად (ურთიერთშედარების აქტები და ა.შ.) დადასტურებული არ არის. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მიცემული იყო რეკომენდაცია სამინისტროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში, მაგრამ საკითხი ჯერჯერობით ბოლომდე შესწავლილი და დასრულებული არ არის. მიზანშეწონილი იქნება ხანდაზმული და არარეალური კრედიტორული დავალიანებები ჩამოიწეროს ბალანსიდან.

---

<sup>4</sup> დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში.

## შპს „ჯეო ქარტასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

15000 ცალი მუყაოს ქაღალდის შესყიდვის მიზნით 2015 წლის 13 თებერვალს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150005017) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 24.7 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: შპს „აუტოსიტიმ“ (რომელმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირა სატენდერო წინადადების ფასი 21.0 ათასი ლარი) და შპს „ჯეო ქარტამ“ (სატენდერო წინადადების ფასი - 22.8 ათასი ლარი).

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის (N2, 19.03.2015წ.) და შპს „აუტოსიტისათვის“ გაგზავნილი 2015 წლის 19 მარტის N00595006 წერილის მიხედვით პრეტენდენტი მიწვეული იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად და დაევალა არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა (26 მარტის ჩათვლით) სისტემაში აეტივრთა დაზუსტებული ფასთა ცხრილი. შპს „აუტოსიტიმ“ დაზუსტებული ფასთა ცხრილი სისტემაში ატივრთა 2015 წლის 30 მარტს (2 სამუშაო დღის დაგვიანებით).

სატენდერო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა 2015 წლის 13 ივლისს (გაურკვეველი მიზეზით საკმაოდ დაგვიანებით). სხდომის ოქმის (N3, 13.07.2015წ.) მიხედვით შპს „აუტოსიტი“ დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მან დადგენილ ვადაში (5 სამუშაო დღეში) არ წარმოადგინა დაზუსტებული ფასების ცხრილი (თუმცა არ არის დაფიქსირებული რომ დაგვიანებით წარმოადგინა). ასევე გადაწყდა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გადაგზავნილიყო შესაბამისი დოკუმენტაცია შპს „აუტოსიტის“ შესყიდვებში მონაწილე პირთა არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჯეო ქარტა“, რომელთანაც 2015 წლის 14 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება N604 ღირებულებით 22.8 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება დისკვალიფიკაციის შესახებ შპს „აუტოსიტიმ“ გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში (საჩივრის ნომერი DIS150005017-01). საბჭომ მიიჩნია, რომ ვინაიდან დაზუსტებული ფასთა ცხრილი წარდგენილი იქნა დაგვიანებით, გადაწყვეტილება დისკვალიფიკაციის შესახებ არ ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას (მიუხედავად იმისა, რომ დაგვიანება შეადგენდა 2 სამუშაო დღეს, ხოლო სატენდერო კომისიის სხდომა გაიმართა 4 თვის შემდეგ). შედეგად საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გარდა ამისა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 16 სექტემბრის N726 განკარგულებით ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის გამო შპს „აუტოსიტის“ მიეცა გაფრთხილება.

სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შპს „აუტოსიტის“ დისკვალიფიკაციის შესახებ და შემდგომ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საჩივრის არ დაკმაყოფილების შესახებ მიზანშეუწონელია და ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ მიზანს (სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა) შემდეგი გარემოებების გამო:

- დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება გამოტანილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ (იმ დროს მოქმედი რედაქციის) მე-12 მუხლის

მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (ხელშეკრულებაზე უარის თქმა), რომელიც განმარტავს, რომ პრეტენდენტი დისკვალიფიკაციას ექვემდებარება, თუ ის არ დააზუსტებს ხარჯთაღრიცხვას<sup>5</sup>. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ასეთს ადგილი არ ჰქონდა, რადგან მართალია დაგვიანებით, მაგრამ დაზუსტებული ფასთა ცხრილი წარმოდგენილი იყო (ამასთან სატენდერო კომისიის სხდომის გამართვამდე). აქედან გამომდინარე ყოველგვარი სხვა დამამტკიცებელი არგუმენტის გარეშე ჩათვლა იმისა, რომ პრეტენდენტი უარს აცხადებს ხელშეკრულების გაფორმებაზე, გაუგებარია (მით უფრო, რომ პრეტენდენტმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ მზად იყო ხელშეკრულების გასაფორმებლად).

- რადგან შესასყიდი იყო ერთი სახეობის საქონელი (15000 ცალი მუყაოს ფურცელი), ასეთ შემთხვევაში გაუგებარია თუ რა მიზანს ისახავდა ფასთა ცხრილის დაზუსტება, რადგან საბოლოო სატენდერო წინადადების ფასის შეთავაზების შემდეგ ავტომატურად ცნობილი ხდება ერთეულის ფასიც. შესაბამისად ე.წ. „დაზუსტებული ფასთა ცხრილის“ წარმოდგენას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან დასაზუსტებელი არც არაფერი იყო.

მიზანშეწონილი იქნება სამინისტრომ გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გარემოებები, რათა ხელი შეუწყოს რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ სხვა ანალოგიური შემთხვევებში (სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე თუ მნიშვნელოვანი თანხების ეკონომიის გაკეთება შესაძლებელი) შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება და შეწყვიტოს ტენდერი, გამოაცხადოს ახალი ტენდერი ან მიმართოს საქართველოს მთავრობას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით.

### **შესყიდვის საგარაუდო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული შენიშვნები**

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით ცალკეულ შემთხვევებში ტენდერების გამოცხადებისას არასწორად იყო განსაზღვრული შესყიდვის საგარაუდო ღირებულებები. ასეთ შემთხვევებში (თუ ტენდერში მონაწილეობას არ ღებულობს ბევრი პრეტენდენტი და ადგილი არ აქვს კონკურენციას), ცალკეული კომპანიები სარგებლობენ შექმნილი სიტუაციით და გამარჯვებულად ცხადდებიან სატენდერო წინადადებების ღირებულებებით, რომლებიც აღემატება შესასყიდი საქონლის (მომსახურების) საბაზრო ღირებულებებს. კონკურენციის არსებობის შემთხვევებში კი (თუ შესყიდვის საგარაუდო ღირებულება გაზრდილად არის წარმოდგენილი) ხშირად ფასის კლება 20%-ზე მეტს

<sup>5</sup> აღნიშნული ნორმით დისკვალიფიკაციის საფუძველად განსაზღვრულია „ხარჯთაღრიცხვის დაუზუსტებლობა“ და არა „დადგენილ ვადაში დაუზუსტებლობა“. პირველი შემთხვევა თავისთავად ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის სხვაგვარად გამოხატვას წარმოადგენს, ხოლო მეორე შემთხვევა (რასაც ადგილი ჰქონდა) ვერცერთი ლოგიკით ვერ ჩაითვლება ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმად.

შეადგენს, რის გამოც პრეტენდენტები იძულებული არიან ადექვატური ფასების შემთხვევაშიც კი ასაბუთონ ფასწარმოქმნის ადექვატურობა. მაგალითად:

1. სხვადასხვა სახის ცეცხლგამძლე სეიფების (სულ 215 ერთეული) და რკინის კარადების (სულ 220 ერთეული) შესყიდვის მიზნით 2015 წლის 24 იანვარს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150002273) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 300.6 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო მხოლოდ საქონლის სახეობები, მათი რაოდენობები და ჯამური სავარაუდო ღირებულება, რომელსაც არ ახლავს გაანგარიშება, თუ როგორ იქნა ის განსაზღვრული. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ნოვი სტილი ჯორჯიამ“, რომელმაც ვაჭრობის პირველივე რაუნდში დააფიქსირა სატენდერო წინადადება ღირებულებით 242.6 ათასი ლარი. შედეგად, ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვის მიზნით სამინისტროსა და შპს „ნოვი სტილი ჯორჯიას“ შორის 2015 წლის 23 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N303 ღირებულებით 242.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა საქონლის მიწოდების შესაბამისად ეტაპობრივად გადახდილი იქნა. ის გარემოება, რომ პრეტენდენტმა ვაჭრობის პირველივე რაუნდში დააფიქსირა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 19%-ით ნაკლები სატენდერო წინადადების ფასი, ეჭვქვეშ აყენებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ადექვატურობას. ტენდერში ბევრი პრეტენდენტის მონაწილეობის და შესაბამისად კონკურენციის არსებობის შემთხვევაში კი დიდი ალბათობით ფასი კიდევ უფრო დაიწევდა.

2. ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N72-ში მდებარე შსს ადმინისტრაციული შენობის ალტერნატიული ელექტრომომარაგების და ელექტროგაყვანილობის ქსელის გაძლიერება-რეაბილიტაციის შესყიდვის მიზნით 2015 წლის 24 ივნისს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150017855) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 64.2 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა შპს „მეხამრიდმა“ - 49.0 ათასი ლარი. იმის გამო, რომ სატენდერო წინადადების ფასი შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 20%-ზე მეტით იყო ნაკლები, შპს „მეხამრიდისგან“ მოთხოვნილი იქნა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მან ვერ წარმოადგინა შესაბამისი დასკვნა. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი შპს „ქსელშენი 2008“ სატენდერო წინადადების ღირებულებით 49.0 ათასი ლარი (დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასზე ერთი ლარით მეტი), რომელთანაც 2015 წლის 29 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N706 ღირებულებით 49.0 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა 43.2 ათასი ლარი, რაც სამუშაოების შესრულების შემდეგ სამინისტროს მიერ გადახდილი იქნა.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასა და ფაქტობრივ ღირებულებას შორის არსებითი განსხვავება (დაახლოებით 33%) მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად იყო განსაზღვრული. ასეთ სიტუაციაში პრეტენდენტებისთვის ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთების მოთხოვნის დაყენება არამიზანშეწონილია და შემზღუდავ პირობას წარმოადგენს. შესაბამისად შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია მეტი სიზუსტე და ბაზრის კვლევის საფუძველზე სწორი გაანგარიშება.

3. უბნის ინსპექტორების გრძელმკლავებიანი პოლო მაისურების (10500 ცალი) შესყიდვის მიზნით 2015 წლის 20 მარტს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150009104) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 220.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი წარმოადგინა შპს „ბენ“-მა - 169.0 ათასი ლარი (ცალი 16.1 ლარი). პრეტენდენტი ექსპერტის დასკვნის (N854/ს, 07.05.2015წ.) საფუძველზე დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილ მაისურის ნიმუშს მარცხენა მკლავზე არ ჰქონდა დაკერებული დაქარგული შევრონი (პრეტენდენტს წარმოდგენილი ჰქონდა ევროპული აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიის დასკვნა წონის შემადგენლობისა და ფერის შედგენის შესახებ). დისკვალიფიცირებული იქნა ასევე მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი შპს „ქართული ტექსტილი“ (176.4 ათასი ლარი) იმ მოტივით, რომ დადგენილ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი საქონლის ნიმუში და ევროპული აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიის დასკვნა. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნოვატორი“, რომელთანაც 2015 წლის 30 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება N486 ღირებულებით 182.7 ათასი ლარი (ცალი 17.4 ლარი). ტენდერში ვაჭრობის შედეგად ფასის 23%-იანი<sup>6</sup> კლება მიუთითებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებულ ხარვეზზე.

4. 2015 წლის 26 თებერვალს სამინისტრომ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა ხელშეკრულება N158 შპს „მოდელების სახლი მატერიალთან“ ღირებულებით 199.5 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 10000 ცალი მოკლემკლავიანი პოლო მაისურის მიწოდება. ერთეულის ფასმა შეადგინა 19.95 ლარი. 2015 წლის 20 მაისიდან 25 აგვისტომდე პერიოდში შესყიდული 10000 მაისურიდან 9646 ცალი სამინისტროს საწყობიდან გაცემულია შსს სხვადასხვა რეგიონალურ სტრუქტურებზე, ხოლო 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დანარჩენი 354 ცალი ირიცხებოდა საწყობში. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების ერთერთი მოტივი იყო მანამდე იმავე შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულება. კერძოდ:

უბნის ინსპექტორების მოკლემკლავებიანი პოლო მაისურების (10000 ცალი) შესყიდვის მიზნით 2014 წლის 26 დეკემბერს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140031005) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 230.0 ათასი ლარი (ცალი 23 ლარი). ტენდერში მონაწილეობა მიიღო 9 პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი წარმოადგინა შპს „ოლბერმა“ - 148.7 ათასი ლარი, რომელიც სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი მაისურის ნიმუშის ხარისხი არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს (სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N2, 05.02.2015წ.). სხვადასხვა მიზეზით დისკვალიფიცირებული იქნა დანარჩენი რვა პრეტენდენტიც და ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- ის გარემოება, რომ ტენდერში (SPA140031005) დისკვალიფიცირებული იქნა ცხრავე პრეტენდენტი, ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები ზედმეტად შემზღუდავი იყო. მაგალითად, სატენდერო დოკუმენტაციით

<sup>6</sup> (220.0-169.0)/220.0

მოთხოვნილი იყო, რომ მაისურის ნიმუშის ღილების შესაკრავი უნდა ყოფილიყო მთლიანად მუქი ლურჯი. გაურკვეველია თუ რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ღილების შესაკრავის ფერის მიმართ ასეთი მკაცრი მოთხოვნის დაწესება მაშინ, როცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 29 აგვისტოს N661 ბრძანებით 2013 წლის 31 დეკემბრის N990 ბრძანებაში (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ) შეტანილი ცვლილებით უბნის ინსპექტორების საზაფხულო ფორმაში ასეთი შეზღუდვა დაწესებული არ არის. უფრო მეტიც, ბრძანებაზე თანდართულ ნიმუშის სურათზე აშკარად ჩანს, რომ ღილების შესაკრავი უნდა ყოფილიყო ცისფერი და არა მუქი ლურჯი, შესაბამისად ასეთი შეზღუდვის დაწესება ბრძანებასთან შეუსაბამო იყო. მიზანშეუწონელია სატენდერო დოკუმენტაციით ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვთ და იწვევს მისაღები სატენდერო წინადადების ფასების მქონე პრეტენდენტების უსაფუძვლო დისკვალიფიკაციას. აღნიშნული შესყიდვების დროს ერთგვაროვანი და თანმიმდევრული მიდგომის, ასევე სატენდერო დოკუმენტაციით ბრძანებასთან შეუსაბამო შეზღუდვის არ დაწესების შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა, რომ ტენდერი არ დასრულებულიყო უარყოფითი შედეგით, რითაც დიდი ალბათობით დაიზოგებოდა საბიუჯეტო სახსრები.

- იმის გათვალისწინებით, რომ შესასყიდი იყო საზაფხულო მაისურები, სეზონის დადგომამდე სამი თვით ადრე მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით შესაძლებელი იყო გამოცხადებულიყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, რაც შესყიდვის პროცედურებს დააჩქარებდა და მაისურების მიწოდება სავსებით მოესწრებოდა. ამასთან შესყიდვის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში დიდი ალბათობით ფასიც მისაღები დაფიქსირდებოდა.

- ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულების შემდეგ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულება გაფორმდა ყველაზე მაღალი სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტთან (შპს „მოდელის სახლი მატერია“). აღნიშნული გარემოება გამარტივებული გზით შესყიდვების განხორციელებისას ოპტიმალური ღირებულების განსაზღვრაში არსებულ ხარვეზზე მიუთითებს.

5. 600 ერთეული სამკერდე ნიშნის (მედალიონის) შესყიდვის მიზნით 2015 წლის 1 ივლისს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150018441) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 14.0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთება იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადების ღირებულება 20%-ით ან მეტით ნაკლები იქნებოდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. ელექტრონული ვაჭრობის შემდეგ დისკვალიფიცირებული იქნენ პირველი (შპს „გეოსტონი“) და მეორე (შპს „Premium Group“) დაბალი სატენდერო წინადადების ფასების მქონე პრეტენდენტები, რის შედეგადაც გამარჯვებულად გამოცხადდა ი/მ „ვახტანგ უშვერიძე“ სატენდერო წინადადების ღირებულებით - 4.8 ათასი ლარი, რომელთანაც 2015 წლის 18 სექტემბერს ზემოაღნიშნული ღირებულებით გაფორმდა ხელშეკრულება N682. სხვაობამ გამარჯვებულ და დისკვალიფიცირებულ პირველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ღირებულებებს შორის შეადგინა ხუთი ლარი.

ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ ტენდერში სამივე პრეტენდენტმა დააფიქსირა თითქმის ერთიდაიგივე სატენდერო წინადადების ფასი, ასევე ვაჭრობის შედეგად შესყიდვის

სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით ფასის სამჯერადი კლება (14.0 ათასი ლარიდან 4.8 ათას ლარამდე), მიუთითებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებულ ხარვეზზე. შესაბამისად ასეთ შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციით ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთების მოთხოვნის დაწესება ზედმეტად შემზღუდავ პირობას წარმოადგენს, რის გამოც დისკვალიფიცირებული იქნა მეორე (შპს „Premium Group“) დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი. ყურადღება მისაქცევია შემდეგი გარემოებაც: ტენდერში მონაწილეობა რომ არ მიეღო დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტებს (რის შესაბამისად არ იქნებოდა ფასის კლება), იგივე ი/მ „ვახტანგ უშვერიძე“ გაიმარჯვებდა სატენდერო წინადადების ღირებულებით 11.4 ათასი ლარი, რისი მიზეზიც შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორი შეფასება იქნებოდა.

6. აირადი ჰელიუმის (20 ერთეული არანაკლებ 40 ლიტრიანი ბალონი) შესყიდვის მიზნით 2015 წლის 9 იანვარს სამინისტრომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA150000505) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 60.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. ვაჭრობის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „ჯეოლაბინსტრუმენტები“ - 49.0 ათასი ლარი, შპს „არგონი“ - 45.0 ათასი ლარი და ი/მ „მანანა კობახიძე“ - 29.9 ათასი ლარი. 2015 წლის 19 თებერვალს გამარჯვებულ პრეტენდენტთან ი/მ „მანანა კობახიძესთან“ გაფორმდა ხელშეკრულება N146 ღირებულებით 29.9 ათასი ლარი. ვაჭრობის შედეგად ფასის 50%-იანი კლება ამ შემთხვევაშიც მიუთითებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებულ ხარვეზებზე. აღნიშნული ხარვეზი წარმოშობს შესაძლებლობას, რომ შესყიდვა განხორციელდეს მნიშვნელოვნად უფრო მაღალ ფასად (მაგალითად, სავარაუდოდ ასე მოხდებოდა, გამარჯვებულ პრეტენდენტს მონაწილეობა რომ არ მიეღო ტენდერში).

7. სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების (100000 ზარი) შესყიდვაზე სამინისტრომ 2015 წლის 6 იანვარს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150000251) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 90.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს საწყისი სატენდერო წინადადების შემდეგი ფასები: შპს „კვესი ჯგუფი“ - 83.9 ათასი ლარი, შპს „09 TECH“ - 80.0 ათასი ლარი. სამრაუნდიანი ვაჭრობის შედეგად დაფიქსირდა საბოლოო სატენდერო წინადადების ფასები: შპს „კვესი ჯგუფი“ - 7.0 ათასი ლარი, შპს „09 TECH“ - 7.0 ათასი ლარი (კონკურენტზე ერთი ლარით ნაკლები). გამარჯვებულ შპს „09 TECH“-თან 2015 წლის 17 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება N142 ღირებულებით 7.0 ათასი ლარი. ვაჭრობის შედეგად ფასის თორმეტჯერადი ოდენობით კლება (90.0 ათასი ლარიდან 7.0 ათას ლარამდე) მიუთითებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად იყო განსაზღვრული და რომ არ ყოფილიყო კონკურენცია (ტენდერში მონაწილეობა რომ მიეღო ერთ პრეტენდენტს) დიდი ალბათობით შესყიდვა განხორციელდებოდა არაადექვატური ფასით.

8. ავტოსატრანსპორტო საშუალებების აქსესუარების (22 სხვადასხვა სახეობა) შესყიდვის მიზნით სამინისტრომ 2014 წლის 9 დეკემბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140028893) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 54.6 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „გმ აუტომ“, რომელმაც გაიმარჯვა ფაქტობრივად შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით 54.3 ათასი ლარი. სამინისტროსა და შპს „გმ აუტოს“ შორის 2015 წლის 22 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება N62 ღირებულებით 54.3 ათასი ლარი. ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე დღის შემდეგ 2015 წლის 31 იანვარს ხელშეკრულებაში



განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც შესასყიდი საქონლის სახეობების რაოდენობა შემცირდა 22-დან 6-მდე (მათ შორის 5 სახეობის სალონის რეზინის საფენი და ერთი სახეობის აეროდინამიკური პლასტმასი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა და განისაზღვრა 13.0 ათასი ლარით. საქონლის მიწოდების შესაბამისად აღნიშნული თანხა ეტაპობრივად გადახდილი იქნა.

აღნიშნული შესყიდვის განხორციელებისას სახელშეკრულებო ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება, მიუთითებს შესყიდვის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზზე. აგრეთვე ეჭვს იწვევს ისიც, თუ რამდენად დასაბუთებული იყო შესყიდვის სავარაუდო ღირებულება. კერძოდ, სალონის რეზინის საფენების თითო კომპლექტი შესყიდული იქნა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი ღირებულებით: 100-110 ლარად (სულ 122 კომპლექტი - 12.3 ათას ლარად), რაც განაპირობა ასევე იმ გარემოებამ, რომ ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, შესაბამისად არ იყო კონკურენცია და ფასის კლება.

9. 10000 ცალი მოკლემკლავიანი პერანგის შეძენის მიზნით 2014 წლის 24 დეკემბერს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140030740) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 250.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ექვსმა პრეტენდენტმა. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ოლბერი“, რომელთანაც 2015 წლის 23 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება N153 ღირებულებით 188.5 ათასი ლარი. ვაჭრობის შედეგად ფასის კლებამ შეადგინა 61.5 ათასი ლარი (24.6%).

10000 ცალი შარვლის შეძენის მიზნით 2014 წლის 24 დეკემბერს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140030743) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 310.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ათმა პრეტენდენტმა. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ოლბერი“, რომელთანაც 2015 წლის 23 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება N154 ღირებულებით 200.0 ათასი ლარი. ვაჭრობის შედეგად ფასის კლებამ შეადგინა 110.0 ათასი ლარი (35.5%).

ორივე ზემოაღნიშნულ ტენდერში ვაჭრობის შედეგად ფასის მნიშვნელოვანი ოდენობით კლება მიუთითებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები არასწორად იყო განსაზღვრული და რომ არ ყოფილიყო კონკურენცია დიდი ალბათობით შესყიდვა განხორციელდებოდა არაადეკვატური ფასით.

10. სამხარეულოს ინვენტარის შეძენის მიზნით 2015 წლის 5 თებერვალს სამინისტრომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA150003726) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 6.2 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა შპს „ნილამ“ (2.7 ათასი ლარი), რომელთანაც 2015 წლის 5 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N173 ზემოაღნიშნული ღირებულებით. ტენდერის მიმდინარეობისას ფასის 56%-ით კლება ამ შემთხვევაშიც მიუთითებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად განსაზღვრაზე.

### შპს „ნოვი სტილი ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

საოფისე ავეჯის შეძენის მიზნით 2015 წლის 15 სექტემბერს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150025083) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 184.6 ათასი ლარი. შესაძენი იყო 11 სახეობის სხვადასხვა სავარძლები, სკამები და დივნები. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „ნოვი სტილი ჯორჯიამ“, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ფასით 164.8 ათასი ლარი. სამინისტროსა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის 2015 წლის 27 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება N755 ღირებულებით 164.8 ათასი ლარი.

სატენდერო დოკუმენტაციის შემოწმებით გაირკვა, რომ მოთხოვნილი ავეჯის თითოეულ კომპონენტის თითოეული დეტალის მიმართ დაწესებული იყო ფიქსირებული ზომები და სხვა ისეთი მახასიათებლები, რომელთა მოთხოვნა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. უფრო მეტიც, სატენდერო დოკუმენტაციას თან ახლავს არა მაკეტური სახის სურათები, არამედ საქონლის თითოეული კონკრეტული მოდელის ფოტოსურათები. მაგალითად:

- საქონლის ტექნიკური მახასიათებლების პირველ პოზიციაში (საოფისე სკამი) მითითებულია: საერთო ზომა 80\*53\*61სმ, დასაჯდომი სიგანე 47სმ, სიღრმე 43სმ, ზურგის სიგანე 49სმ, სიმაღლე 36სმ და ა.შ.

- საქონლის ტექნიკური მახასიათებლების მეორე პოზიციაში (ხელმძღვანელის სავარძელი) მითითებულია: სახელურებში ჩასმული ტყავი - სიგრძე 38სმ, სიღრმე 4სმ, საერთო ზომები - სიმაღლე მაქსიმალური 123სმ, სიმაღლე დაწეულ მდგომარეობაში 117სმ, სიგანე 64სმ. სიღრმე 77სმ. ზურგის სიმაღლე - 78სმ, სიგანე 53სმ. დასაჯდომის სიგანე - 57.5სმ, სიღრმე 52სმ. სახელურის სიგრძე 45.5სმ, სახელურის სიმაღლე 30სმ, სახელურის სიღრმე 6სმ, ფეხის დიამეტრი 67სმ.

- საქონლის ტექნიკური მახასიათებლების მეექვსე პოზიციაში (ორადგილიანი ტყავის დივანი) მითითებულია: საერთო ზომა - სიგრძე 158სმ. სიღრმე 87სმ, სიმაღლე 86სმ, სიმაღლე იატაკიდან დასაჯდომამდე 43სმ. დასაჯდომის სიგრძე - 114,5სმ, სიღრმე 53სმ. სახელურების სიგრძე - 65,5სმ სიღრმე 21სმ და ა.შ.

ანალოგიურად, ფიქსირებულ ზომებშია მითითებული თერთმეტივე პოზიციაში მითითებული ავეჯის სხვადასხვა სახეობები.

შპს „ნოვი სტილი ჯორჯიამ“ სატენდერო წინადადებით ყველა პოზიციის მიხედვით წარადგინა ზუსტად ანალოგიური ფიქსირებული ზომების და სხვა მახასიათებლების მქონე საქონელი, რითაც გაიმარჯვა ტენდერში.

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზით შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება:

სატენდერო დოკუმენტაციით შესასყიდი საქონლის (საოფისე ავეჯის) აღწერისას საქონლის ზუსტი ზომების (სანტიმეტრებში და მილიმეტრებში) მითითება, ასევე ცალკეული მონაცემების მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და აკმაყოფილებდა მხოლოდ კონკრეტული პრეტენდენტის ინტერესებს.

ასეთ პირობებში ტენდერში ბუნებრივია, რომ მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, რითაც ავტომატურად გამოირიცხა კონკურენცია და ფასის კლება.

ზემოაღნიშნული სახის გარემოებები განაპირობებს ტენდერების ფორმალური სახით ჩატარებას და ხელს არ უწყობს რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას, რასაც მოითხოვს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა<sup>7</sup>.

### **საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების შესრულების მდგომარეობა**

„2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საწყისი რედაქციით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (30 00) შრომის ანაზღაურების მუხლით დაუმტკიცდა ჯამური ასიგნება 415,100.0 ათასი ლარის ოდენობით. ბიუჯეტის განწერის შედეგად სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის (30 01 01 01) 2015 წლის საწყისმა გეგმამ შრომის ანაზღაურების მუხლით შეადგინა 80,322.6 ათასი ლარი. ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად სამინისტროს შრომის ანაზღაურების მუხლით დაუმტკიცდა ჯამური ასიგნება 375,289.0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად ბიუჯეტის განწერით სამინისტროს (30 01 01 01) გეგმა შრომის ანაზღაურების მუხლით განისაზღვრა 57,914.9 ათასი ლარით. წლის განმავლობაში ასიგნებათა გადანაწილების შედეგად გეგმა დაზუსტდა - 44,868.7 ათას ლარამდე. წლის განმავლობაში გაწეულია 44,857.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - 33,288.7 ათასი ლარი, წოდებრივი სარგო - 924.5 ათასი ლარი, პრემია - 1,275.4 ათასი ლარი, დანამატი - 9,366.5 ათასი ლარი, კომპენსაცია - 2.6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულებით (საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ) დაწესებული იყო შეზღუდვები შრომის ანაზღაურების (მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეების) და წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევაზე (2015 წლის ხარჯები არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის ხარჯებზე მეტი). ასევე მაქსიმალურად უნდა შეზღუდულიყო მივლინების, რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული, საოფისე ტექნიკის და ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალებების შეძენის, ასევე ცალკეული სხვა მუხლებით 2015 წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯები. სამინისტროს (30 01 01 01) მიერ გაწეული ხარჯების ოდენობები შესაბამისობაშია ზემოაღნიშნული განკარგულების მოთხოვნებთან. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში შსს სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ ეს მოთხოვნები დარღვეულია, რაც დაგეგმვის (რასაც სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის შესაბამისი სამსახური ახორციელებს) ხარვეზზე მიუთითებს. მაგალითად:

- შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2015 წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეულია 62,971.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ანუ უფრო მეტი, ვიდრე 2014 წელს (გაწეულია 61,712.9 ათასი ლარის საკასო ხარჯი), შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ქვემუხლით 2015 წელს გაწეულია 3,160.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი (2014 წელს - 3,151.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი), რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების ქვემუხლით 2015

<sup>7</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

წელს გაწეულია 2,832.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი (2014 წელს - 1,493.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი).

- კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 2015 წლის განმავლობაში გაწეულია 160.9 ათასი ლარის საკასო ხარჯი (2014 წლის განმავლობაში გაწეულია 63.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი).

- სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის მიერ შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 2015 წლის განმავლობაში გაწეულია 2,679.1 ათასი ლარის საკასო ხარჯი (2014 წლის განმავლობაში გაწეულია 2,504.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი).

- სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის მიერ შრომის ანაზღაურების მუხლით 2015 წლის განმავლობაში გაწეულია 10,550.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი (2014 წლის განმავლობაში გაწეულია 10,120.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი).

- 2015 წლის განმავლობაში სამინისტროს (როგორც მხარჯავი დაწესებულების) მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების ქვემუხლით გაწეულია ჯამურად 13,813.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი მაშინ, როცა 2014 წელს იმავე ქვემუხლით გაწეულია 11,369.3 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

აღსანიშნავია ასევე სამინისტროს (30 00) მასშტაბით შრომის ანაზღაურების მუხლის დანამატების ქვემუხლით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა. 2014 წლის განმავლობაში აღნიშნული ქვემუხლით გაწეულია სულ 60,233.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რომელიც მოიცავს ამჟამად სამინისტროსგან გამოყოფილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წლიურ ხარჯსაც (დანამატის სახით შტატგარეშე მოსამსახურეებზე დამატებით გაწეულია 177.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი). 2015 წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მუხლის დანამატის ქვემუხლით გაწეულია სულ 68,493.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი (დანამატის სახით შტატგარეშე მოსამსახურეებზე დამატებით გაწეულია 227.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი), რომელშიც არ შედის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ აგვისტოდან დეკემბრამდე გაწეული ხარჯი (8,232.8 ათასი ლარი + 3.7 ათასი ლარი შტატგარეშეები).

## **ქ. ქუთაისში პოლიციელის დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიება**

1. 2015 წლის 28 მაისს სამინისტრომ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შპს „ალფა სტუდიოსთან“ გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N403. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 2015 წლის 31 მაისს ქ. ქუთაისში პოლიციელის დღესთან დაკავშირებით გასამართი ღონისძიების ორგანიზებისთვის საჭირო მომსახურების გაწევა. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 146.5 ათასი ლარით თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. გაწეული მომსახურების შესაბამისად ზემოაღნიშნული თანხა სრულად იქნა გადახდილი (ანგარიშ-ფაქტურის ეა-04 3994269 საფუძველზე).

ზემოაღნიშნული შესყიდვის დროს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენება დაუსაბუთებელია, რადგან პოლიციელის დღესთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზებისთვის საჭირო მომსახურების შესყიდვა შესაძლებელი იყო დაგეგმილიყო უფრო ადრე (ამისთვის წლის დასაწყისიდან არსებობდა საკმარისი დრო) და გამოცხადებულიყო ტენდერი.

გარდა ამისა ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის შემოწმებით გაირკვა, რომ არ არის დასაბუთებული ცალკეული პოზიციებში მითითებული ხარჯების შესაბამისობა რეალურ საბაზრო ღირებულებებთან. მაგალითად:

- ხარჯთაღრიცხვის მე-14 პოზიციაში „განათებით უზრუნველყოფა 24კვტ“ განზომილების ერთეულად მითითებულია „კომპლექტი“, რაოდენობა - 1, ერთეულის ღირებულება - 16.0 ათასი ლარი, საერთო ღირებულება - 16.0 ათასი ლარი. ამასთან, როგორც ხარჯთაღრიცხვის სტრუქტურიდან გამომდინარეობს, აღნიშნული ღირებულება წარმოადგენს მხოლოდ ხარჯს, რომელსაც შემდეგ დარიცხული აქვს ზედნადები ხარჯები (3%), მოგება (8%) და დღგ (18%). რის შედეგადაც პოზიციის საბოლოო ფასად გამოყვანილია 21.0 ათასი ლარი. გაურკვეველია, თუ რას მოიცავს ე.წ. „ხარჯი“ 16.0 ათასი ლარის ოდენობით.

- ანალოგიურად, ხარჯთაღრიცხვის მე-15 პოზიციაში „ლედ მონიტორები 120 მ“ განზომილების ერთეულად მითითებულია „კომპლექტი“, რაოდენობა - 1, ერთეულის ღირებულება - 39.6 ათასი ლარი, საერთო ღირებულება - 39.6 ათასი ლარი. ზედნადები ხარჯების, მოგების და დღგ-ს გათვალისწინებით ლედ მონიტორებში გადახდილმა ფასმა შეადგინა 52.0 ათასი ლარი. გაურკვეველია, თუ რას წარმოადგენს ე.წ. „ხარჯი“ 39.6 ათასი ლარის ოდენობით. თუ ეს ლედ მონიტორების შესყიდვის ფასია, რომელიც გადაიხადა შპს „ალფა სტუდიომ“ და აუნაზღაურა სამინისტრომ, მაშინ ღონისძიების დამთავრების შემდეგ ტექნიკა უნდა გადაცემოდა სამინისტროს (რაც არ არის განხორციელებული), ლედ მონიტორების ერთდღიანი ქირავნობის შემთხვევაში კი გადახდილი ფასი (52.0 ათასი ლარი) დაუსაბუთებელია.

- ასევე დაუსაბუთებელია 18-24 პოზიციებში მითითებული პირების ხელფასები სულ 32.9 ათასი ლარის ოდენობით (მენეჯერი - 6250 ლარი, რეჟისორი - 6250 ლარი, ტექნიკური პასუხისმგებელი პირი - 6250 ლარი და ა.შ.), რომელიც ერთდღიანი მომსახურების გათვალისწინებით არაა დეკლარირებული.

- ღონისძიებისთვის გამოყენებულია მიმწოდებლის მიერ შემენილი და დამონტაჟებული ლითონკონსტრუქციები, რომელშიც სამინისტრომ ხარჯთაღრიცხვის (პოზიციები 1-7) მიხედვით გადაიხადა 9.8 ათასი ლარი დანარიცხების ჩათვლით (7.5\*1.03\*1.08\*1.18). აღნიშნული ლითონკონსტრუქციები სამინისტროსთვის გადაცემული არ არის და დაუსაბუთებლად მისაკუთრებულია შპს „ალფა სტუდიოს“ მიერ.

2. ანალოგიურად, 2015 წლის 28 მაისს სამინისტრომ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შპს „ჯი ენდ ჯი პროდაქშენტან“ გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N404. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 2015 წლის 31 მაისს ქ. ქუთაისში პოლიციელის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 62.5 ათასი ლარით თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. გაწეული მომსახურების

შესაბამისად ზემოაღნიშნული თანხა სრულად იქნა გადახდილი (ანგარიშ-ფაქტურის ეა-04 3970930 საფუძველზე).

ზემოაღნიშნული შესყიდვის დროსაც გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენება ასევე დაუსაბუთებელია, რადგან მომსახურების შესყიდვის დაგეგმვა შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო ადრე და გამოცხადებულიყო ტენდერი.

გარდა ამისა ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის შემოწმებით გაირკვა, რომ არ არის გაშიფრული ცალკეულ პოზიციებში მითითებული ხარჯები. მაგალითად:

- ხარჯთაღრიცხვის მე-6 პოზიციაში მითითებულია: „კარვები (5/5მ) მონტაჟი დემონტაჟი“, 9 ცალი, 2 დღე, ერთეულის ფასი 0.6 ათასი ლარი, სულ 11.3 ათასი ლარი, რომელსაც დარიცხული აქვს მოგება 10% და დღგ 18%. გაურკვეველია თუ რისგან შედგება ხარჯი 11.3 ათასი ლარის ოდენობით.

- ხარჯთაღრიცხვის მე-8 პოზიციაში მითითებულია: „ვიპ-ლოჟა (სხვადასხვა დონეებით) ტრანსპორტირება მონტაჟი“, 5 ცალი, 1 დღე, ერთეულის ფასი 4.1 ათასი ლარი, სულ 20.7 ათასი ლარი, რომელსაც დარიცხული აქვს მოგება 10% და დღგ 18%. გაურკვეველია თუ რისგან შედგება ხარჯი 20.7 ათასი ლარის ოდენობით. და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვების განხორციელება. ობიექტური გარემოებებით გამოწვეულ შემთხვევებში სამინისტრომ ხელშეკრულების გაფორმებამდე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შესასყიდი საქონლის (მომსახურების თუ სამუშაოს) ოპტიმალური ღირებულების დადგენას, რათა თავიდან იქნას აცილებული არაეკონომიური ხარჯვა.

### **შპს „გმ აუტოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება**

პოლიციის ავტომანქანებზე ციმციმების, ხმამაღლა მოლაპარაკებების და სირენების შეძენა-მონტაჟის მიზნით 2015 წლის 15 იანვარს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150001343) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 221.1 ათასი ლარი. მისაწოდებელი იყო 12 სხვადასხვა სახეობის ელექტრომოწყობილობა მოთხოვნის შესაბამისად. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. ვაჭრობის შედეგად უფრო დაბალი სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა შპს „გმ აუტომ“ – 198.6 ათასი ლარი. შპს „ლუმენმა“ დააფიქსირა სატენდერო წინადადების ფასი - 200.0 ათასი ლარი. 2015 წლის 6 აპრილს სამინისტროსა და შპს „გმ აუტოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N254 ღირებულებით 198.6 ათასი ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 31 დეკემბერი. წლის განმავლობაში ხელშეკრულებით განსაზღვრული 12 სახეობის ტექნიკიდან სამინისტროს მიერ მოთხოვნილი იქნა მხოლოდ 7 სახეობა (ისიც შემცირებული რაოდენობებით) ჯამური ღირებულებით 109.6 ათასი ლარი. შესაბამისად 2015 წლის 31 დეკემბერს ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილება და სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 109.6 ათას ლარამდე. აღნიშნული შესყიდვის ინიცირება განხორციელდა შსს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს

უფროსის პატაკის საფუძველზე (MIA 4 14 02459185, 04.12.2014), რომელშიც, როგორც ზემოაღნიშნული გარემოებები მეტყველებს, არ იყო სრულყოფილად დასაბუთებული შესყიდვის აუცილებლობა.

გარდა ამისა, როგორც გაირკვა, ზემოაღნიშნულ ტენდერის შედეგად სამინისტროს მიერ შესყიდული 7 სახეობის ტექნიკიდან 4 სახეობაში დამარცხებულმა პრეტენდენტმა შპს „ლუმენმა“ წარადგინა უფრო დაბალი სატენდერო წინადადების ფასი, ვიდრე გამარჯვებულმა შპს „გმ აუტომ“. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ მიზანშეწონილი იქნება ანალოგიურ შემთხვევებში სხვადასხვა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი (თუმცა მსგავსი) სახეობების ტექნიკის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იქნას არა გაერთიანებული ტენდერი, არამედ დამოუკიდებელი რამდენიმე ტენდერი თითოეული სახეობისთვის, რაც სამინისტროს საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის საშუალებას მისცემს.

### **მივლინებები ქვეყნის გარეთ**

2015 წლის განმავლობაში სამინისტროს (30 01 01 01) მიერ ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გაწეულია 514.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

აუდიტის პერიოდში ქვეყნის გარეთ მივლინებებში გამგზავრება წარმოებდა სამინისტროს ბრძანებების საფუძველზე, რომლებშიც სხვა აუცილებელ მონაცემებთან ერთად მიეთითებოდა სამივლინებო თანხების ანაზღაურების პირობები - კერძოდ, მგზავრობის, სასტუმროს, დღიური სარგოს და სხვა დამატებითი ხარჯების ანაზღაურების პირობები.

ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებული მიწვევები აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს არ ეგზავნებოდა. სამმართველო ეყრდნობოდა ბრძანებებში მითითებულ პირობებს, რის შესაბამისადაც ახდენდა თანხების ანაზღაურებას. პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განმარტებით მიწვევები ეგზავნებათ უშუალოდ მიწვეულ პირებს და სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებს, რომელთა მოხსენებითი ბარათების საფუძველზეც სამინისტრო გამოსცემს ბრძანებებს. დანაყოფები ძირითადად ცენტრალურ საბუღალტრო სამმართველოსგან ტერიტორიულად განსხვავებულ ადგილებზე იმყოფებიან. აღნიშნული პრინციპით ქვეყნის გარეთ მივლინებების ორგანიზება წარმოადგენს შიდა კონტროლის სისუსტეს. მიწვევებში დაფიქსირებული პირობების კონტროლის გარეშე აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს მიერ ვერ ხორციელდებოდა სამივლინებო თანხების გაანგარიშების სისწორის გადამოწმება. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი ქვეყნის გარეთ მივლინებების მიწვევები.

შიდა კონტროლის ზემოაღნიშნულ სისუსტესთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი შემთხვევა: მინისტრის ბრძანებით (MIA 0 15 00683002, 31.03.2015წ.) სამინისტროს ერთერთი დეპარტამენტის დირექტორი მივლინებული იქნა საბერძნეთში. ბრძანებაში მიეთითა, რომ მგზავრობის, განთავსების და სადღეღამისო ხარჯს სრულად აანაზღაურებდა მიმწვევი მხარე. ბრძანებაზე მინისტრის ხელმოწერის შემდეგ შეცვლილი იქნა ბრძანების პირველი ფურცელი

(რაც დაუშვებელია<sup>8</sup>) და ჩაიწერა, რომ მგზავრობის, განთავსების და სადღეღამისო ხარჯს სრულად აანაზღაურებდა შს სამინისტრო. ვინაიდან სამივლინებო დოკუმენტებს არ ახლავს მიწვევა, ფაქტობრივად უცნობია, თუ რამდენად სწორად განხორციელდა ცვლილება და შესაბამისად ანაზღაურება.

შიდა კონტროლის ზემოაღნიშნულ სისუსტესთან დაკავშირებით აღნიშნული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. ხარვეზი 2015 წლის განმავლობაში გამოსწორებული არ არის.

მაღალი ხარისხის შიდა კონტროლის გარემოს შექმნის მიზნით მიზანშეწონილი იქნება ბრძანებების გამოცემამდე სტრუქტურული დანაყოფების მიერ განხორციელდეს მივლინებებთან დაკავშირებით მიღებული მიწვევების გადაცემა აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოსთვის (თანხების გაანგარიშების სისწორის კონტროლის და ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტებზე მტკიცებულების სახით დართვის მიზნით).

გარდა ამისა, შემოწმებით გაირკვა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებული ბრძანებების სხვადასხვა მიზეზებით გაუქმებას, რის შედეგადაც დაიკარგა მგზავრობის და სასტუმროს ღირებულების ასანაზღაურებლად ავანსად გადარიცხული თანხები. კერძოდ:

- სამინისტროს 2015 წლის 29 სექტემბრის N02150541, N02150569 და N02150625 ბრძანებების შესაბამისად მინისტრი და სხვა თანმხლები პირები სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე მივლინებული იყვნენ იტალიაში. მინისტრის მივლინებასთან დაკავშირებით ავანსად გადახდილი იქნა მგზავრობის, სასტუმროს, ტრანსპორტის (შიდა გადაადგილების) ღირებულებები და დღიური სარგო ჯამურად 7.7 ათასი ლარის ოდენობით. სამინისტროს 2015 წლის 9 ოქტომბრის N2225091 ბრძანებით ზემოაღნიშნულიდან ერთერთი ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი (N02150541 - მინისტრის მივლინებასთან დაკავშირებით), რის შემდეგაც ბიუჯეტში დაბრუნებული იქნა დღიური სარგო 1.3 ათასი ლარი და შპს „ლევონ თრეველის“ მიერ მგზავრობის ღირებულების ნაწილი 0.3 ათასი ლარი. ვერ მოხერხდა დანარჩენი თანხის (6.1 ათასი ლარი) დაბრუნება და ჩამოწერილი იქნა ხარჯში.

- სამინისტროს 2015 წლის 12 ნოემბრის N02520822 ბრძანებით სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე მინისტრის მოადგილე მივლინებული იქნა საფრანგეთში (ქ. პარიზი). ავანსად გადახდილი იქნა მგზავრობის და სასტუმროს ღირებულებები, ასევე დღიური სარგო ჯამურად 4.6 ათასი ლარის ოდენობით. 2015 წლის 17 ნოემბრის N02561601 ბრძანებით ზემოაღნიშნული ბრძანება არარად იქნა ცნობილი, რის შედეგადაც ბიუჯეტში დაბრუნებული იქნა დღიური სარგო 1.5 ათასი ლარის ოდენობით და სასტუმროს ღირებულების ნაწილი 1.2 ათასი ლარის ოდენობით. დანარჩენი 1.9 ათასი ლარი ვერ იქნა დაბრუნებული და ჩამოიწერა ხარჯში.

მიზანშეწონილი იქნება ქვეყნის გარეთ მივლინებების ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნას ზემოაღნიშნული ფაქტები, რათა გამოირიცხოს არაგარანტირებული საავანსო გადახდები.

---

<sup>8</sup> ბრძანებაში დაშვებული შეცდომა (თუ ასეთს აქვს ადგილი) უნდა გამოსწორდეს ახალი ბრძანებით (არსებულ ბრძანებაში ცვლილების შეტანით).



## მოსამსახურეების ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება და საცხოვრებელი ბინების დაქირავება

მინისტრის 2015 წლის 30 ოქტომბრის N840 ბრძანების შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეები, ასევე დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახის წევრები დაჯილდოებული იქნენ საახალწლო ფასიანი საჩუქრებით. აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით სამინისტრომ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვებზე (შპს „გუდვილთან“ N776, 30.10.2015 - 647.7 ათას ლარზე; შპს „ბადაგონთან“ N777, 30.10.2015 - 165.0 ათას ლარზე; შპს „თელავის მარანთან“ N778, 30.10.2015 - 147.0 ათას ლარზე; შპს „შუხმან ვაინს ჯორჯიასთან“ N779, 30.10.2016 - 120.0 ათას ლარზე; შპს „ლაბორატორია დრ. ჯორჯიასთან“ N780, 30.10.2015 - 66.0 ათას ლარზე და შპს „ორიგინალთან“ N781, 30.10.2015 - 48.0 ათას ლარზე). შესყიდული საქონელი (ჯამური ღირებულებით 1,193.7 ათასი ლარი) ფასიანი საჩუქრის სახით დაურიგდათ ზემოაღნიშნულ პირებს. სამინისტროს მიერ გათვალისწინებულია 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებული შენიშვნა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების<sup>9</sup> დაცვასთან დაკავშირებით (რომლის მიხედვითაც დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის საქონლის კომპენსაციის გარეშე გადაცემისას საქონლის საბაზრო ღირებულება განეკუთვნება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით) და სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია საშემოსავლო გადასახადი 298.4 ათასი ლარის ოდენობით.

ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შესყიდვების განხორციელებისას გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენება დაუსაბუთებელია, რადგან საახალწლო ღონისძიების ჩატარება შესაძლებელი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო რამდენიმე კვირით ადრე და გამოცხადებულიყო ელექტრონული ტენდერი, რითაც სავარაუდოდ დაიზოგებოდა გარკვეული საბიუჯეტო სახსრები.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის „ბინის ქირის“ ქვემუხლით სამინისტროს 2015 წლის განმავლობაში გაწეული აქვს 292.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი. აღნიშნული ხარჯი გაწეულია სამინისტროს ბრძანებების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც სამინისტროს თანამშრომლებს დაუქირავდათ საცხოვრებელი ბინები. ხარჯების გაწევის დროს გათვალისწინებული არ არის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნა<sup>10</sup>, რომლის მიხედვითაც დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემისას საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულება განეკუთვნება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. აღნიშნულ თემასთან

<sup>9</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის მოთხოვნა.

<sup>10</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტის მოთხოვნა.

დაკავშირებით შენიშვნა მითითებული იყო სამინისტროს 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში, რაც გათვალისწინებული არ არის.

### წარმომადგენლობითი ხარჯები

2015 წლის განმავლობაში სამინისტროს (30 01 01 01) მიერ „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „წარმომადგენლობითი ხარჯების“ ქვემუხლით გაწეულია 668.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რაც 2014 წლის მონაცემთან შედარებით (1,082.2 ათასი ლარი) 38%-ით ნაკლებია. მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევებში გაწეული იქნა ისეთი ხარჯები, რომლებიც განსაკუთრებულ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რაც არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებულ მოთხოვნას<sup>11</sup>. მაგალითად:

- 2015 წლის 4 მარტს სამინისტროსა და შპს „ფრესკო რითეილ გრუპს“ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა ხელშეკრულება N170 სასურსათო პროდუქტების შესყიდვაზე ღირებულებით 10.0 ათასი ლარი. ასევე 2015 წლის 15 ივნისს იმავე მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება N452 ღირებულებით 25.0 ათასი ლარი. ორივე ხელშეკრულების ფარგლებში წლის განმავლობაში ეტაპობრივად შეძენილია 32.2 ათასი ლარის სხვადასხვა სასურსათო პროდუქტი, მათ შორის საღებავი რეზინები, სხვადასხვა სახის ჩაი, ყავა, შოკოლადის დრაჟე მიქსი და ა.შ. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმება არ იყო დაკავშირებული რაიმე კონკრეტულ ღონისძიებასთან.

- 2015 წლის 16 იანვარს სამინისტროსა და შპს „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა ხელშეკრულება N37 გამაგრილებელი სასმელების შესყიდვაზე ღირებულებით 15.0 ათასი ლარი. ასევე 2015 წლის 22 ივლისს იმავე მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება N542 ღირებულებით 25.0 ათასი ლარი. ორივე ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილია 27.7 ათასი ლარის სხვადასხვა გამაგრილებელი სასმელი.

- 2015 წლის 15 იანვარს სამინისტროსა და შპს „გაგრა პლუსს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N35 რედეულების შესყიდვაზე ღირებულებით 11.4 ათასი ლარი. შეძენილია 2736 ცალი 0.25ლ რედეული ღირებულებით 7.8 ათასი ლარი.

- 2015 წლის 27 იანვარს სამინისტროსა და შპს „აიდიეს ბორჯომი თბილისს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N76 გამაგრილებელი სასმელების შესყიდვაზე ღირებულებით 12.0 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ეტაპობრივად შესყიდულია 10.4 ათასი ლარის საქონელი.

- 2015 წლის 22 იანვარს სამინისტროსა და შპს „ვენდინგ ჯორჯიას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N60 შსს ადმინისტრაციულ შენობებში ცხელი სასმელების აპარატებით (შვიდი ერთეული) მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 15.0 ათასი ლარი. წლის განმავლობაში გაწეულია (და შესაბამისად გადახდილია) 10.8 ათასი ლარის მომსახურება.

<sup>11</sup> საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების (საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ) დანართის მე-7 პუნქტის მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA140028051) საშუალებით (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 15.0 ათასი ლარი). სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული იყო ისეთი არააუცილებელი მოთხოვნები, როგორიცაა აპარატის ფაქტობრივად ფიქსირებული ზომები: სიგრძე 40-45სმ, სიმაღლე 150-160სმ, სიღრმე 50-55სმ. ასევე კონტეინერების რაოდენობა - 5 ერთეული, ერთჯერადი ჭიქები - 195 ერთეული, მოსარევი ჩხირი - 180 ერთეული. აღნიშნული შეზღუდვის პირობებში (რაც კონკრეტული პრეტენდენტის ინტერესებს აკმაყოფილებდა) ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა და გაიმარჯვა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით. აღნიშნული გარემოება ხელს არ უწყობს რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას.

- 2015 წლის 14 იანვარს სამინისტროსა და შპს „პროექსოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N30 კრისტალების შესყიდვაზე ღირებულებით 10.8 ათასი ლარი. შესყიდულია 10.8 ათასი ლარის 300 ერთეული კრისტალი (საოფისე სუვენირი). მათ შორის 214 ერთეული გადაეცა სამინისტროს სხვადასხვა სამსახურებს, ხოლო 86 ერთეული 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა საწყობში.

- 2015 წლის 20 იანვარს სამინისტროსა და შპს „ოპიზარს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N54 საოფისე სუვენირების (თითბრის მონეტები და მონეტების ნაკრები გამჭვირვალე ყუთებით, სუვენირი შსს-ს ლოგოთი მოტრიალე ღერძზე ყუთით) შესყიდვაზე ღირებულებით 21.5 ათასი ლარი. შესყიდულია 21.5 ათასი ლარის 200 ერთეული საოფისე სუვენირი. მათ შორის 161 ერთეული გადაეცა სამინისტროს სხვადასხვა სამსახურებს, ხოლო 39 ერთეული 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა საწყობში.

- სომხეთის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ გაწეული იქნა სტუმრების სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ განთავსების ხარჯი 7.2 ათასი ლარის ოდენობით<sup>12</sup>, ასევე რესტორან „კოპალაში“ სადილის გამართვასთან დაკავშირებული ხარჯი 3.9 ათასი ლარის ოდენობით. დამატებით გაწეული იქნა შემდეგი ხარჯები: სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების მიზნით შპს „ლოპოტა ტურ სერვისისთვის“ გადახდილი იქნა 21.9 ათასი ლარი (მათ შორის სასტუმროს ხარჯი - 4.1 ათასი ლარი)<sup>13</sup>. წარმოდგენილი ინვოისების მიხედვით თბილისში („რედისონ ბლუ ივერია“) და კახეთში („ლოპოტა ტურ სერვისი“) სასტუმროთი სარგებლობის თარიღები ერთმანეთს ემთხვევა (2015 წლის 6-7 ოქტომბერი), რაც იმაზე მიუთითებს, რომ სასტუმროების ერთდროული დაჯავშნა და ზედმეტი ხარჯის გაწევა გამოწვეულია ღონისძიების არასწორი ორგანიზებით. ასევე დაქირავებული იქნა თეატრალური კვარტეტი და ორი მომღერალი, რისთვისაც გადახდილი იქნა ჯამურად 5.5 ათასი ლარი. გარდა ამისა, 2015 წლის 19 ივნისს შპს „ლოპოტა ტურ სერვისისთვის“ ასევე გადახდილია 1.6 ათასი ლარი (ა/ფ ეა-10 0797207).

- ქვეყნის გარეთ ვიზიტების დროს სასაჩუქრედ ხშირ შემთხვევებში შეძენილია ძვირადღირებული საჩუქრები. მაგალითად, სამინისტროს დელეგაციის აზერბაიჯანში ვიზიტის მიზნით ფიზიკური პირი თეიმურაზ ჯალაღანიასგან შეძენილი იქნა 30.0 ათასი ლარის 4 ერთეული სუვენირი, კერძოდ: კავკასიურ-ქართული მაჭახელა ვერცხლის ზარნიშით - 12.0 ათას ლარად, კავკასიური დამბაჩა ოქროს ზარნიშით - 9.0 ათას ლარად, კავკასიური დამბაჩა ვერცხლის ზარნიშით - 6.0 ათას ლარად და ხანჯალი ვერცხლის

<sup>12</sup> ანგარიშ-ფაქტურა ეა-07 0488805.

<sup>13</sup> ანგარიშ-ფაქტურები ეა-10 0904448, ეა-10 0904451, ეა-100904452, ეა-10 0904454.

გრაფირებით 3.0 ათას ლარად. აგრეთვე შპს „ზარაფხანასგან“ შეძენილი იქნა ჭადრაკი მოოქროვილი მინანქრით -2.4 ათას ლარად, სუვენირი „მუღამი“ (2 ცალი) - 1.5 ათას ლარად და სხვა. სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული მიზნით გაწეული გარკვეული ხარჯებიდან გამომდინარე, უცნობია წარმოებდა თუ არა უცხოელების მხრიდან ანალოგიურად ძვირადღირებული საჩუქრების გადმოცემა (ფაქტები დოკუმენტურად დაფიქსირებული არ არის). აღნიშნული საკითხი (საჩუქრების შემდგომ განკარგვასთან დაკავშირებით) კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული და სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებს სხვადასხვა პრაქტიკა გააჩნიათ. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ გადასაცემი საჩუქრების შეძენა წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შესაბამისად მიზანშეწონილი იქნება მიღებული ძვირადღირებული საჩუქრები შესაბამისმა პირებმა გადასცენ სამინისტროს.

- მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის N517 ბრძანებისა და ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან“ 2015 წლის 17 ივლისის გაფორმებული N532 ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული იქნა ქ. თბილისში 2015 წლის 11 აგვისტოს გამართული ევროპის სუპერთასის (ბარსელონა - სევილია) მატჩის 150 ბილეთი, რაშიც გადახდილი იქნა 6.4 ათასი ლარი. ხარჯი გაწეული იქნა „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ქვემუხლით („კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები“).

- შპს „ელ. ბილეთებთან“ 2015 წლის 21 თებერვალს გაფორმებული N147 ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული იქნა 2015 წლის 21 თებერვალს სპორტის სასახლეში გამართული შერეულ ორთაბრძოლებში მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრები 1692 ბილეთი, რაშიც გადახდილი იქნა 9.9 ათასი ლარი. ხარჯი გაწეული იქნა „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ქვემუხლით („კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები“).

### **ხელშეკრულებებში განხორციელებული არსებითი ცვლილებები**

ცალკეულ შემთხვევებში ტენდერებში გამარჯვების საფუძველზე გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები სახელშეკრულებო ღირებულებების შემცირების კუთხით. გამოცხადებულია ტენდერები არასაჭირო საქონელზე/მომსახურებაზე ან არასაჭირო ოდენობით და წლის განმავლობაში მიღებულია გადაწყვეტილებები შესასყიდი საქონლის/მომსახურების რაოდენობების არსებით შეცვლასთან, ან საერთოდ ხელშეკრულებების შეწყვეტასთან დაკავშირებით, რაც შესყიდვების დაგეგმვაში არსებულ ხარვეზზე მიუთითებს. მაგალითად:

- 73 სახეობის სხვადასხვა კარტრიჯების შესყიდვაზე 2015 წლის 1 მაისს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150012945) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 200.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. ტენდერში გაიმარჯვა შპს „ტექნო-სერვისმა“, რომელთანაც 2015 წლის 30 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება N488 ღირებულებით 166.8 ათას ლარი. 2015 წლის 31 დეკემბერს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებით მისაწოდებელი კარტრიჯების

სახეობების რაოდენობა შემცირდა 21-მდე და ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 52.3 ათასი ლარით (შემცირდა 114.5 ათასი ლარით).

- ავეჯის (83 სახეობის) შესყიდვის მიზნით 2015 წლის 19 მაისს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150014364) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 298,4 ათასი ლარი. ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მოდერნ-ვილა“, რომელთანაც 2015 წლის 8 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება N509 ღირებულებით 284.4 ათასი ლარი. 2015 წლის 31 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით შესასყიდი ავეჯის სახეობების რაოდენობა შემცირდა 29-მდე. შესაბამისად ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა 116.8 ათასი ლარით და შეადგინა 167.6 ათასი ლარი.

- 46 სახეობის (1970 ერთეული) სურათის (ალუმინის, ხის და პლასტმასის) ჩარჩოების შესყიდვის მიზნით სამინისტრომ 2014 წლის 27 დეკემბერს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA140031032) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 62.8 ათასი ლარი. ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. 2015 წლის 4 თებერვალს ტენდერში გამარჯვებულ ი/მ რომან გოგოლაძესთან გაფორმდა ხელშეკრულება N105 ღირებულებით 54.0 ათასი ლარი. 2015 წლის 31 დეკემბერს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებით შესყიდული იქნა მხოლოდ ერთი სახეობის 24 ერთეული ჩარჩო, რის შედეგადაც სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 53.1 ათასი ლარით და შეადგინა 0,9 ათასი ლარი. ამასთან აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მიწოდებული საქონლის ამ კონკრეტული სახეობის ერთეულის შესყიდვის ფასი (40 ლარი) უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ფასი, რომელიც შეთავაზებული იქნა დამარცხებული პრეტენდენტის შპს „ფოტოპლაზა“-ის მიერ (38.4 ლარი).

- 2015 წლის 13 იანვარს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ფარდა-ჟალუზების და მწერებისგან დამცავი ბადის (მონტაჟით) შესყიდვაზე (SPA150000873). შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 113.0 ათასი ლარი. ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა (შპს „დაბა+“) და ტენდერში გამარჯვების საფუძველზე მასთან 2015 წლის 18 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N203 ღირებულებით 113.0 ათასი ლარი. 2015 წლის 31 დეკემბერს ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე შესასყიდი საქონლის რაოდენობა (სულ 4300მ<sup>2</sup>) შემცირდა 1846მ<sup>2</sup>-მდე, რის შედეგადაც შესაბამისად შემცირდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაც (63.9 ათასი ლარით) და განისაზღვრა 49.1 ათასი ლარით.

- სხვადასხვა სახის მინის ფირების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 18 თებერვალს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA150003203) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 76.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „გლასფასადი“, რომელთანაც 2015 წლის 26 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N229 ღირებულებით 49.0 ათასი ლარი. 2015 წლის 31 დეკემბერს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით აღნიშნულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 42.8 ათასი ლარით და განისაზღვრა 6.1 ათასი ლარით. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ფასის მნიშვნელოვანი კლება მიუთითებს შესყიდვის

სავარაუდო ღირებულების არაადექვატურობაზე, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულების რვაჯერ შემცირება მიუთითებს შესყიდვის არასწორ დაგეგმვაზე.

- საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურების მიზნით 2015 წლის 13 იანვარს სამინისტრომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA150000983) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 116.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა (შპს „ლაშა 2007-მა“), რომელთანაც ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2015 წლის 29 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება N408 ღირებულებით 116.0 ათასი ლარი. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით 2015 წლის 31 დეკემბერს აღნიშნული ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა.

- ქ. ფოთიდან და ქ. ბათუმიდან ტვირთების (14 ერთეული კონტეინერი) ქ. თბილისში ტრანსპორტირების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 15 დეკემბერს სამინისტრომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA140029669) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 18.6 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ავტოლოგისტიკამ“, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 18.6 ათასი ლარი. სამინისტროსა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის 2015 წლის 12 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N188 ღირებულებით 18.6 ათასი ლარი. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით 2015 წლის 31 დეკემბერს აღნიშნული ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა.

- 7 სახეობის სულ 35 ერთეული საოფისე დეკორატიული მცენარის შესყიდვის მიზნით 2015 წლის 24 ივნისს სამინისტრომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA150017805) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 15.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო მცენარეთა ქოთნების ზუსტი ფიქსირებული ზომები (დიამეტრი, სიმაღლე, სიგრძე, სიგანე) და ფერი, რაც კონკურენციის შემზღუდავ პირობას წარმოადგენდა და კონკრეტული პრეტენდენტის ინტერესებს აკმაყოფილებდა. შედეგად ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ვანის სათბურებმა“, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 14.9 ათასი ლარი. სამინისტროსა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის 2015 წლის 10 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება N515 ღირებულებით 14.9 ათასი ლარი. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით 2015 წლის 31 დეკემბერს აღნიშნული ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა.

### **შპს „ფლაგ არტთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები**

240 ერთეული სხვადასხვა ქვეყნის დროშის (პარამეტრებიდან გამომდინარე 6 სახეობის) შესყიდვის მიზნით სამინისტრომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA150003121) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 25.8 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, რომლებმაც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „ვესტა ტექსტილი“ - 10.4 ათასი ლარი, შპს „აუტოსიტი“ - 10.4 ათასი ლარი და შპს „ფლაგ არტი“ - 15.2 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით დაბალი სატენდერო წინადადების ფასების მქონე პრეტენდენტები შპს „ვესტა ტექსტილი“ და შპს „აუტოსიტი“ დისკვალიფიცირებული იქნენ

იმ მოტივით, რომ მათ დადგენილ ვადაში არ წარმოადგინეს საქონლის ნიმუშები (სატენდერო კომისიის სხდომის ოქმების N2 და N3 მიხედვით). ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ფლაგ არტი“, რომელთანაც 2015 წლის 15 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N278 ღირებულებით 15.2 ათასი ლარი. მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთი კალენდარული დღე (როგორც სატენდერო დოკუმენტაციით იყო განსაზღვრული). ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 დღის შემდეგ 2015 წლის 19 აპრილს ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საქონლის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად, 2015 წლის 31 დეკემბრამდე, მოთხოვნიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში. წლის განმავლობაში მიწოდებული იქნა 12.6 ათასი ლარის საქონელი.

აღსანიშნავია, რომ სატენდერო დოკუმენტაციით (შესაბამისად ხელშეკრულებითაც) მოთხოვნილი იყო სხვადასხვა ქვეყნის დროშების მიწოდება, ისე რომ დაკონკრეტებული არ იყო თუ რომელი ქვეყნის დროშები იყო მოთხოვნილი. შესაბამისად გაურკვეველია, თუ როგორ უნდა წარმოედგინათ პრეტენდენტებს საქონლის ნიმუშები. ასევე უცნობია, თუ რა სახით წარმოადგინა ნიმუშები ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა. შესაბამისად აღნიშნული მოთხოვნის გაურკვეველი სახით დაყენება მიზანშეუწონელი იყო. მიზანშეუწონელი იყო ასევე სატენდერო დოკუმენტაციით მიწოდების ვადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის განსაზღვრა, რადგან არაადეკვატური მოთხოვნების დაწესება (რაც დაადასტურა 4 დღეში ცვლილების განხორციელების აუცილებლობამ) ზღუდავს ტენდერში მონაწილეთა რაოდენობას და კონკურენციას.

გარდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებისა, სამინისტრომ შპს „ფლაგ არტთან“ წლის განმავლობაში იმავე საქონლის (სხვადასხვა ქვეყნის დროშების) შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა კიდევ 4 ხელშეკრულება: 2015 წლის 29 აპრილის N320 (ღირებულებით 0.5 ათასი ლარი), 2015 წლის 13 მაისის N352 (ღირებულებით 0.5 ათასი ლარი), 2015 წლის 27 მაისის N389 (ღირებულებით 4.0 ათასი ლარი) და 2015 წლის 5 ოქტომბრის N726 (ღირებულებით 0.5 ათასი ლარი). სამ შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების საფუძვლად მითითებულია კანონმდებლობის ნორმა<sup>14</sup>, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფად არ განიხილება შემთხვევა, როდესაც შესყიდვის ცალ-ცალკე პროცედურებით განხორციელება გამოწვეულია გეოგრაფიული ფაქტორით ან/და გამართლებულია სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით. ვერ იქნა დასაბუთებული, რომ ადგილი ჰქონდა ასეთ გარემოებას. ერთ შემთხვევაში კი (ხელშეკრულება N389) გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების საფუძვლად მითითებულია გადაუდებელი აუცილებლობა. აღნიშნული გარემოების არსებობაც ვერ იქნა დასაბუთებული. შესაბამისად შესყიდვები უნდა განხორციელებულიყო ტენდერის საშუალებით. შესაძლებელი იყო გამოცხადებული ზემოაღნიშნული ტენდერის (SPA150003121) ფარგლებში გათვალისწინებული ყოფილიყო დანარჩენი 4 შესყიდვაც.

აღსანიშნავია ასევე, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით შეძენილი იმავე ზომის (100\*150სმ) დროშების ფასები ბევრად აღემატება ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით (N278)

<sup>14</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

განსაზღვრულ ფასებს<sup>15</sup>. მაგალითად: ზემოაღნიშნული N320 ხელშეკრულებით შეძენილი იქნა სამი ერთეული ჩეხეთის, სლოვაკეთის და აშშ სახელმწიფო დროშა თითოეული 165 ლარად, მაშინ როცა სატენდერო ფასმა შეადგინა 45 ლარი. N389 ხელშეკრულებით კი შეძენილი იქნა 11 ერთეული ანალოგიური შსს დროშა 65 ლარად (სატენდერო ფასი 40 ლარი), 10 ერთეული შსს დროშა ორმაგი ფოჩით 175 ლარად და 10 ერთეული საქართველოს სახელმწიფო დროშა ორმაგი ფოჩით 155 ლარად.

## გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე რიცხული მთლიანი გრძელვადიანი არაფინანსური აქტივებიდან არასაცხოვრებელი შენობების (2112), გაყვანილობის სისტემების (2118) და სხვა ნაგებობების (2119) ღირებულება ჯამურად შეადგენდა 58,431.3 ათას ლარს, ხოლო სხვადასხვა მიწის ნაკვეთების სახით არაწარმოებული აქტივების (2410) ღირებულება შეადგენდა ჯამურად 12,932.1 ათას ლარს. 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კი არასაცხოვრებელი შენობების, გაყვანილობის სისტემების და სხვა ნაგებობების ღირებულება შეადგენდა - 65,870.0 ათას ლარს, ხოლო არაწარმოებული აქტივების ღირებულება - 75,368.4 ათას ლარს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფის შემდეგ (2015 წლის 1 აგვისტოდან) ზემოაღნიშნული აქტივებიდან 32 ერთეული შენობა-ნაგებობა (არასაცხოვრებელი შენობები, გაყვანილობის სისტემები და სხვა ნაგებობები)<sup>16</sup> ჯამური საბალანსო ღირებულებით 22,688.2 ათასი ლარი ბალანსიდან ბალანსზე უნდა გადაცემოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. უნდა გადაცემოდა ასევე მიწის ნაკვეთები ჯამური საბალანსო ღირებულებით 49,089.2 ათასი ლარი. 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაცემა განხორციელებული არ არის. შედეგად სამინისტროს (30 01 01 01) ბალანსი (ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში) 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ნაწილში 71,777.4 ათასი ლარის უზუსტობით (მეტობით) არის წარმოდგენილი<sup>17</sup>.

## ავტომატური დაზღვევა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 19 დეკემბრის N1023 ბრძანებით სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტს დაევალა სამინისტროს შვიდი

<sup>15</sup> დოკუმენტების მიხედვით განსხვავება გამოიხატება მხოლოდ ჩანაწერით „ორმაგი ფოჩით“. სხვა სახის განსხვავება (მათ შორის ხარისხში) არ ფიქსირდება.

<sup>16</sup> დეტალური ჩამონათვალი იხილე დანართში.

<sup>17</sup> აღნიშნული აქტივები ძირითადად წარმოადგენს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N72-ში და 9 აპრილის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებს და შენობა-ნაგებობებს.



სტრუქტურული ერთეულისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვის მიზნით ტენდერის ერთობლივად ჩატარება. 2014 წლის 20 დეკემბერს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140030340) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 2,102.5 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ალდაგმა“, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 2,093.0 ათასი ლარი.

აღნიშნული ღირებულების ფარგლებში სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტმა შპს „ალდაგთან“ 2015 წლის 30 იანვარს გააფორმა ხელშეკრულება N89 ღირებულებით 1,478.2 ათასი ლარი (გაფორმდა ასევე სხვადასხვა ღირებულებების ხელშეკრულებები შპს „ალდაგსა“ და შსს-ს დანარჩენ ექვს სუბიექტს შორის). ხელშეკრულებაში (N89) განხორციელებული ბოლო ცვლილებით (2015 წლის 31 დეკემბრის N39 შეთანხმება) სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა და განისაზღვრა 838.4 ათასი ლარით. დაზღვეული იყო 966 ავტომანქანა, ხოლო წლიური სადაზღვევო პრემია თითოეულზე განსაზღვრული იყო საბალანსო ღირებულების 2.72%-ის ოდენობით. სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანების შეკეთების ხარჯებთან დაკავშირებული დაზღვევა ვრცელდებოდა როგორც სამინისტროს მძღოლების ბრალეულობით, ასევე მესამე პირების ბრალეულობით გამოწვეულ ავტოსაგზაო შემთხვევებზე. ამასთან, როგორც პასუხისმგებელი პირების განმარტებებიდან გაირკვა, მესამე პირების ბრალეულობის შემთხვევებში დამნაშავე პირებისგან ზარალის ამოღებას თავის სასარგებლოდ აწარმოებდა მზღვეველი (ამ შემთხვევაში შპს „ალდაგი“). თუმცა ამ პრივილეგიის შესახებ არც ხელშეკრულებაში და არც სხვა დოკუმენტებში ჩანაწერი არ არსებობდა. სამინისტროს მძღოლების ბრალეულობით გამოწვეულ ავტოსაგზაო შემთხვევების დროს დაზღვევა ვრცელდებოდა ასევე მესამე პირების კუთვნილ ავტომანქანებზეც.

გარდა ამისა სამინისტროს შპს „ალდაგთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ჰქონდა 2014 წლის 30 დეკემბრის N967 ხელშეკრულებაც ღირებულებით 90.2 ათასი ლარი (იმავე სახის მომსახურებაზე). 2015 წლის განმავლობაში ორივე ხელშეკრულების ფარგლებში სამინისტროს მიერ შპს „ალდაგისთვის“ გადახდილი იქნა სულ 928.6 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული სახის შესყიდვა სამინისტროს მიერ ხორციელდება ეფექტიანობის გათვლის გარეშე. უცნობია, თუ რა ფინანსური სარგებელი მოაქვს აღნიშნული მიზნით სადაზღვევო კომპანიებისთვის დიდი ოდენობით თანხების გადახდას, საჭიროა თუ არა სადაზღვევო პრემიის განმსაზღვრელი პროცენტის კორექტირება, ან საერთოდ უმჯობესია თუ არა ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად მიყენებული ზიანი აღმოფხვრილი იქნას დაზღვევის გარეშე (საკუთარი სახსრებით).

აუდიტის ჯგუფის მიერ არასრულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებული იქნა აღნიშნული საკითხი. როგორც გაირკვა სამინისტროს, როგორც მხარჯავი დაწესებულების (30 00) მიერ 2013-2015 წლებში აღნიშნული მიზნით საბიუჯეტო სახსრებით გადახდილი მთლიანი თანხების 91-96% მოდის სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტსა (30 01 01 01) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტზე (30 01 01 02). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ანალიზი გაკეთებული იქნა შსს ამ ორი სტრუქტურის მონაცემებზე დაყრდნობით. მოპოვებული იქნა 2013, 2014 და 2015 წლებთან დაკავშირებული ინფორმაცია სამინისტროს (30 01 01 01) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ გადახდილი თანხების შესახებ, ასევე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების შედეგად ანაზღაურებული

თანხების შესახებ არასრული სახით (რადგან მოპოვებული ვერ იქნა ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიების მიერ მესამე პირებისგან ამოღებული და მათზე გადახდილი თანხების შესახებ). მიღებული იქნა შემდეგი შედეგი:

| 2013 წელი                  |                          |                             |                                  |
|----------------------------|--------------------------|-----------------------------|----------------------------------|
|                            | <i>წლიური<br/>პრემია</i> | <i>წლიური<br/>ანაზღაურ.</i> | (ათას ლარებში)<br><i>სხვაობა</i> |
| სულ სამინისტრო (30 00)     | 1,765.8                  |                             |                                  |
| მ. შ. სამინისტრ აპარატი    | 839.4                    | 517.6                       | 321.8                            |
| მ. შ. საპატრულო პოლიც      | 776.1                    | 590.4                       | 185.7                            |
| <b>აპარატი + საპატრულო</b> | <b>1,615.5</b>           | <b>1,108.0</b>              | <b>507.5</b>                     |

| 2014 წელი                  |                          |                             |                                  |
|----------------------------|--------------------------|-----------------------------|----------------------------------|
|                            | <i>წლიური<br/>პრემია</i> | <i>წლიური<br/>ანაზღაურ.</i> | (ათას ლარებში)<br><i>სხვაობა</i> |
| სულ სამინისტრო (30 00)     | 2,193.9                  |                             |                                  |
| მ. შ. სამინისტრ აპარატი    | 997.1                    | 740.2                       | 256.9                            |
| მ. შ. საპატრულო პოლიც      | 1,009.9                  | 1,288.1                     | (278.2)                          |
| <b>აპარატი + საპატრულო</b> | <b>2,007.0</b>           | <b>2,028.3</b>              | <b>(21.3)</b>                    |

| 2015 წელი                  |                          |                             |                                  |
|----------------------------|--------------------------|-----------------------------|----------------------------------|
|                            | <i>წლიური<br/>პრემია</i> | <i>წლიური<br/>ანაზღაურ.</i> | (ათას ლარებში)<br><i>სხვაობა</i> |
| სულ სამინისტრო (30 00)     | 3,475.4                  |                             |                                  |
| მ. შ. სამინისტრ აპარატი    | 928.6                    | 1,140.0                     | (211.4)                          |
| მ. შ. საპატრულო პოლიც      | 2,418.3                  | 1,896.0                     | 522.3                            |
| <b>აპარატი + საპატრულო</b> | <b>3,346.9</b>           | <b>3,036.0</b>              | <b>310.9</b>                     |

როგორც ცხრილებიდან ჩანს, სამინისტროსა (30 01 01 01) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2013 წლის განმავლობაში გაწეულია ჯამურად 1,615.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი. სადაზღვევო შემთხვევების დადგომის შედეგად მზღვეველების მიერ მხოლოდ სამინისტროს ავტომანქანებთან დაკავშირებით ანაზღაურებულია 1,108.0 ათასი ლარი (აღნიშნულ თანხაში არ შედის სამინისტროს მძღოლების ბრალეულობით მესამე პირების ავტომანქანების დაზიანებებთან დაკავშირებული ანაზღაურება). შედეგად მხოლოდ შსს ავტომანქანებთან დაკავშირებით გაწეული იქნა 507.5 ათასი ლარით მეტი ხარჯი (იმ შემთხვევასთან შედარებით, რომ არ ყოფილიყო დაზღვეული ავტომანქანები და ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად გამოწვეული დაზიანებები საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრილიყო). 2014 წელს სხვაობა მცირედით დადებითია - 21.3 ათასი ლარი. ხოლო 2015 წელს ასევე უარყოფითია - 310.9 ათასი ლარი.

სრული სურათის მისაღებად საჭიროა მიღებულ უარყოფით მონაცემებს დაემატოს მესამე პირების ბრალეულობით გამოწვეული ხარჯები (რომელიც პოტენციურად ამოღებას ექვემდებარება) და გამოაკლდეს სამინისტროს მძღოლების ბრალეულობის გამო სადაზღვევო კომპანიების მიერ მესამე პირებისთვის გადახდილი თანხების ოდენობა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება სამინისტრომ გამოითხოვოს სადაზღვევო კომპანიებისგან სრული ინფორმაცია, გააანალიზოს ეფექტიანობა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

### **პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

ჩვენი აზრით, აუდიტორული მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი უზუსტობების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად და უტყუარად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

მთავარი აუდიტორი

გია ნადარეიშვილი

.....

აუდიტორი

მაკა დიხამინჯია

.....

აუდიტორი

ოთარ დანიშაშვილი

.....

აუდიტორ-ასისტენტი

თამარ ბურჯანაძე

.....

აუდიტორ-ასისტენტი

რევაზ გომელაური

.....

აუდიტორ-ასისტენტი

სალომე კვანტალიანი

.....